BGS
ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

ნოემბერი / November 2024

დირექტორი გვამცნობს...

გილოცავთ ჩვენი სკოლის მფარველი წმინდანის დიდმოწამე გიორგის ხსენების დღეს!!

ბრიტანეთიდან ჩვენი მოსწავლეების ზაფხულის სესიის საერთაშორისო საგამოცდო სერტიფიკატები მივიღეთ. წელს განსაკუთრებულ წარმატებას მივაღწიეთ. ვულოცავ მოსწავლეებს, მათ მშობლებს და მასწავლებლებს ასეთ მაღალ შედეგებს.

ნოემბრის მოკლე სასწავლო თვის მიუხედავად, ბევრი საინტერესო და სახალისო სასწავლო თუ შემეცნებითი აქტივობა ჩატარდა სკოლაში.

გთხოვთ განაგრძეთ კითხვა, ნოემბრის თვის სიახლეებში ბევრ საინტერესოს აღმოაჩენთ. . .

The Headmistress writes...

Happy St. George’s Day!

We received certificates of British International Examination summer session 2024 from the UK. I would like to congratulate every student, their parents and teachers for such high results.

Despite a short academic month of November, various interesting and fun educational activities were held.

Please continue reading about busy life of BGS...

სასიხარულო სიახლე

Celebrating Excellence: Annual British International Qualifications Certificate Award Ceremony

Pearson | Edexcel

OUTSTANDING PEARSON LEARNER AWARD

OUTSTANDING PEARSON LEARNER AWARD

უკვე მერამდენე წელია BGS-ში განსაკუთრებულად აღვნიშნავთ ბრიტანეთიდან გამოგზავნილ საერთაშორისო გამოცდების სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალს. 2023-24 სასწავლო წელიც განსაკუთრებული აღმოჩნდა! ყოველ წელს Pearson Edexcel-ი გამოყოფს წარჩინებულ მოსწავლეებს და მათ ბრწყინვალე შედეგებს გამოცდებში. Outstanding Pearson Learner Awards (OPLA) სერტიფიკატი გადაეცემა იმ მოსწავლეებს, რომლებმაც კონკრეტულ გამოცდაში მიიღეს უმაღლესი შეფასება ევროპის, აზიის ან მსოფლიოს მასშტაბით.

2023/24 წლის გამოცდების სესიაში მიღწეული უმაღლესი შედეგებისთვის, ბიჯიესის ოთხმა მოსწავლემ დაიმსახურა OPLA-ს სერტიფიკატი. ჩვენი მოსწავლეები საუკეთესონი აღმოჩნდნენ ევროპის 750 სკოლის 2200 მოსწავლეს შორის 82 ქვეყნიდან.

- **ვახტანგ რაზმაძე** - iPrimary Science (მასწავლებელი- იამზე ხუციშვილი);
- **ანასტასია მიქელაძე** - iPrimary Maths (მასწავლებელი- მზია ვაჩეიშვილი);
- **მაია ადეიშვილი** - GCSE Russian (მასწავლებელი: ნინო ჩიხლაძე);
- **ლელა ჩივჩიური** - GCSE ინგლისური, როგორც მეორე ენა (მასწავლებლები - თამარ ჯაფარიძე, თამარ ჩხეიძე, მაკა გოგინაშვილი).

სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად ამ ცერემონიისათვის გვეწვია Pearson-ის რეგიონალური განვითარების მენეჯერი ბალკანეთში, იტალიაში, საქართველოსა და სომხეთში ეფი სტატოპულუსი, რომელმაც გულითადად მიულოცა ყველას წარმატება, გადასცა მედლები და სერტიფიკატები.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სკოლის დირექტორმა ეკა კვაჭანტირაძემ და საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელმა ხატია გოგილაშვილმა.

ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს ამ წარმატებას!

Celebrating Excellence: Annual British International Qualifications Certificate Award Ceremony

Our Annual British International Qualifications Certificate Award Ceremony was a true celebration of the hard work, dedication, and achievements of both our students and teachers. The event highlighted the incredible efforts put forth throughout the year, and we couldn't be prouder of the accomplishments on display.

A special highlight of the ceremony was the visit from our esteemed guest, Effie Stathopoulou, who graciously presented the Outstanding Pearson Learner Awards (OPLA) to students who demonstrated exceptional academic achievement and perseverance. We are thrilled to announce that four BGS students received these prestigious OPLA awards, a testament to their outstanding commitment and excellence in their studies. Our students were among the best out of 2,500 students from 750 European schools across 82 countries.

- **Vakhtang Razmadze** - OPLA Award in iPrimary Science - Teacher: Iamze Khutsishvili;
- **Anastasia Miqeladze** - OPLA Award in iPrimary Maths - Teacher: Mzia Vacheishvili;
- **Maia Adeishvili** - OPLA Award in GCSE Russian - Teacher: Nino Chikhladze;
- **Lela Chivchiuri** - OPLA Award in International GCSE English as a Second Language - Teachers: Tamar Japaridze, Tamar Chkheidze, Maka Goginashvili.

Congratulations to all the award recipients, and a heartfelt thank you to everyone who continues to make our learning community a place of excellence. We look forward to even greater achievements in the years ahead!

სასიხარულო სიახლე

Celebrating Excellence: Annual British International Qualifications Certificate Award Ceremony

OUTSTANDING PEARSON LEARNER AWARD

სასიხარულო სიახლე

Celebrating Excellence: Annual British International Qualifications Certificate Award Ceremony

რა? სად? როდის?

What? Where? When?

For two successive days, BGS had held the students' favourite intellectual game "What? Where? When?" in different age groups. The teams, naturally, were made up by houses. The game was traditionally headed by Mr. Manuchar Guntsadze. As a result of a rather tense and interesting game, the Iberians and Colchians shared first place among the grades 9-12, whereas the winners among the grades 7-8 proved to be Celts and Brits.
The final game will be held between these teams.
Congratulations to the winners!

რა? სად? როდის?

What? Where? When?

ბიჯიესში ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა ყველასათვის საყვარელი ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის?
გუნდები, რა თქმა უნდა, სახლების მიხედვით იყო დაკომპლექტებული. შეხვედრას ტრადიციულად ბატონი მანუჩარ გუნცაძე წარუძღვა. საკმაოდ დაძაბული და საინტერესო თამაშის შედეგად IX-XII კლასებს შორის პირველი ადგილი გაინაწილეს იბერებმა და კოლხებმა, VII-VIII კლასებს შორის კი - კელტებმა და ბრიტებმა.
ფინალური თამაში გაიმართება ამ გუნდებს შორის.
ვულოცავთ გაარჯვებულ გუნდებს!

მნიშვნელოვანი შეხვედრები
პროფესიის არჩევა

Important meetings
Choosing profession

უფროსკლასელები ასამბლეაზე შეხვდნენ ჩვენი სკოლის მშობელს - ქალბატონ თინათინ ტყემალაძეს (თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი).
სტუმარმა გაუზიარა მოსწავლეებს საინტერესო გამოცდილება- იშვიათი გენური მუტაციისა და დაავადებების შესახებ და მიიწვია ისინი სამედიცინო უნივერსიტეტის სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმში.
პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით მსგავსი შეხვედრები კვლავ გაგრძელდება.

At the assembly, senior students hosted the parent of our school, Mrs. Tinatin Tkemaladze (The Head of the Department of Genetics at Tbilisi Medical University and the Dean of the Medical Faculty).

The guest shared an interesting experience with the students about rare genetic mutations and diseases, and invited them to the Museum of Life Sciences of the Medical University.

Such meetings concerning the choice of profession will continue.

Important meetings
ეს უნდა ვიცოდეთ

მნიშვნელოვანი შეხვედრები
We need to know this

ბიჯიესში სტუმრად იყვნენ საქართველოს ცელიაკიის ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლები, რომლებმაც მოსწავლეებს აუახსნეს, რა უნდა იცოდნენ და გაითვალისწინონ ცელიაკიის შესახებ. შეხვედრის ბოლოს კი ბავშვებმა დააგემოვნეს უგლუტეინო ორცხობილები.

BGS was visited by representatives of the Georgian National Celiac Association, who explained to the students what they should know and take into account about celiac disease. At the end of the meeting, the students were treated to gluten-free cookies.

მნიშვნელოვანი შეხვედრები
ბრიტანული უნივერსიტეტი

Important meetings
British University

BGS invited the representatives of the British University in Georgia (BUG). The guests told the senior students about the university and its exchange programmes. At the end of the meeting, they invited the students to an interesting master class and five lectures that they could attend at BUG.

ბიჯიესში გვეწვივნენ საქართველოში ბრიტანული უნივერსიტეტის წარმომადგენლები.
ისინი უფროსკლასელებს ესაუბრნენ უნივერსიტეტისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ. თვის ბოლოს კი დაპატიჟეს მოსწავლეები საინტერესო ვორქშოფზე. მათ ასევე შეეძლებათ, დაესწრნონ ხუთ საინტერესო ლექციას.

მნიშვნელოვანი სიახლე - კურსდამთავრებულთა კლუბი

Important news - Alumni Club

ჩატარდა კურსდამთავრებულთა კლუბის შეხვედრა. გადაწყდა, რომ სხვადასხვა წლის კურსდამთვრებული ბიჯიესელები აქტიურად ჩაერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში. ამ ეტაპზე სკოლის საფეხბურთო გუნდის განახლებაზე შეთანხმდნენ. ისინი კვირაში ერთხელ შეიკრიბებიან, ასევე უზრუნველყოფენ ტურნირების ჩატარებას. მსგავსი აქტივობები ძალიან მნიშვნელოვანია.

BGS organized a meeting of the alumni club. It was decided that graduates of different years will actively participate in school life. At this stage, they agreed on renewing the school football team with which they will meet once a week. The club members will also be responsible for holding tournaments. Such activities are very important indeed.

Individual meetings with parents

მშობელთა კრებები

ნოემბერში უფროსკლასელთა მშობლებისათვის საშემოდგომო კრებები ჩატარდა, რომელზეც თითოეულ მშობელს საშუალება ჰქონდა ინდივიდუალურად შეხვედროდა მასწავლებლებს.

Senior teachers held individual meetings with parents in November. Each parent had a chance to meet teachers one to one and discuss their children's achievements.

Congrats!

მოლოცვა

ვულოცავთ მეორე კლასელ - არინა კლუბოვიჩს სპორტული ცეკვების ტურნირზე გამარჯვებას!

Congratulations to second-grader Arina Klubovich on winning the sports dance tournament!

საქართველოს ცეკვისა და სპორტული ცეკვის პროფესიონალთა ეროვნული საბჭო

საერთაშორისო ტურნირი

მეამოდგომის თბილისი

ჯილდოვდება ბლუბოვიჩ არინა

ასაკობრივი კატეგორია 6-7

პროგრამა cha-cha

ადგილი I-ადგილი

ორგანიზატორი
ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი
ეკატერინე აბრამია

WDC WORLD DANCE COUNCIL

GEORGIAN NATIONAL COUNCIL OF DANCE G.N.C

დაარსებულია 1997 წელს

თბილისი 17/11/2024

წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi



School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.